

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

XI კლასი

I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

პირველითგან იყო კვართი (ლევან სანიკიძე)

1. საქართველოში ქრისტესა და ქრისტიანობაზე პირველი სიტყვა და პირველი განსჯა იწყება I საუკუნის 30–იანი წლებიდან. ამ დროს ქართლში მეფედ იჯდა ფარნავაზიანთა დინასტიის მეათე წარმომადგენელი მირდატ პირველი, რომელმაც გააერთიანა „ყოველი ქართლი და ეგრისი“. „მომტკიცნა ზღუდენი ქალაქ მცხეთისანი“.
2. სამასი წელიწადი გასულიყო მას შემდეგ, რაც ქართველნი, სარწმუნოებით წარმართნი, თაყვანს სცემდნენ კერპებს – არმაზს, გაცსა და გაიმს, რომელთა ქანდაკებები აღმართული იყო საქართველოს მაშინდელი სატახტო ქალაქის, მცხეთის მთავარი ციხესიმაგრის - არმაზ–ციხის თავზე.
3. პალესტინიდან მცხეთაში მოვიდა ამბავი იესო ქრისტეს ღვთაებრივი მოვლინებისა, ახალი სარწმუნოების ქადაგებისა, რომაელთაგან მისი შეპყრობისა და სამართალში მიცემისა. ბრალმდებელ ებრაელთა წრემ მოციქულები გამოუგზავნა მცხეთის ებრაელობას თხოვნით: ქართლიდანაც გაეგზავნათ „მეცნიერნი სჯულისანი“, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ქრისტეს მხილებასა და სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში. მცხეთელებმა პალესტინაში გაგზავნეს ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი.
4. როცა ელიოზმა და ლონგინოზმა პალესტინაში ჩააღწიეს, უკვე გვიან იყო. ქრისტესთვის სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოეტანათ. მათ მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმას მიუსწრეს გოლგოთაზე. მათ დიდი პატივი ერგოთ: როცა წამებული უფლის ტანსაცმელზე იქ დამსწრეებმა წილი განიგდეს, კვართი მათ ხვდათ წილად.
5. გოლგოთის ტრაგედიას გამოძახილი მოჰყვა მცხეთაში. ელიოზის დედას ესმა ჯვარზე უფლის გალურსმვის ხმა და ტირილში განუტევა სული. მცხეთაში მოსულ ელიოზს კვართი დამ ჩამოართვა, მკერდში ჩაიკრა, ატირდა და სული განუტევა.
6. ელიოზის სახლს აუარებელი ხალხი მოაწყდა. მოვიდა მეფე ადერკიც. იგი მოიხიბლა ღვთაებრივი სამოსის ხილვით და მოინდომა მისით ტანის დამშვენება. მაგრამ ვერც მეფემ და ვერც მხლებლებმა მიცვალებულს გულზე დაკრეფილი ხელებიდან ვერ აართვეს უფლის კვართი. ელიოზმა და კვართთან ერთად დამარხა იქვე მცხეთას, „სანატრელითა დამარხვითა.“

1) რა არის პირველი აზნაცის მთავარი სათქმელი?

- ა) ქრისტესა და ქრისტიანობაზე საუბარი I საუკუნის 30–იანი წლებიდან იწყება;
- ბ) საუბარია ფარნავაზიანთა დინასტიის შთამომავლებზე;
- გ) საუბარია ფარნავაზის შესახებ;

2) პირველი აზნაცის მიხედვით ვინ იჯდა ქართლის მეფედ?

- ა) ფარნავაზი
- ბ) მირდატ პირველი
- გ) აზონი

3) მეორე აზნაცის მიხედვით რომელ კერპებს სცემდნენ თაყვანს ქართველი წარმართები?

- ა) გაცის
- ბ) ხარს
- გ) არმაზს, გაცსა და გაიმს

4) მეორე აზნაცის მიხედვით რომელია მაშინდელი საქართველოს სატახტო ქალაქი?

- ა) მცხეთა
- ბ) თბილისი
- გ) ქუთაისი

5) მესამე აზნაცის მიხედვით, რატომ გაემგზავრნენ „მეცნიერნი სჯულისანი“ პალესტინაში?

- ა) მონაწილეობის მისაღებად ქრისტეს მხილებასა და სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში;
- ბ) სამოგზაუროდ;
- გ) საეკლესიო კრებაში მონაწილეობისათვის;

- 6) მესამე აბზაცის მიხედვით ვინ გაიგზავნა ქართლიდან პალესტინაში?
 ა) ელიოზ მცხეთელი ბ) ლონგინოზ კარსნელი გ) ლონგინოზ კარსნელი და ელიოზ მცხეთელი
- 7) მიიღეს თუ არა მონაწილეობა ელიოზმა და ლონგინოზმა ქრისტეს ჯვარცმასში?
 ა) მიიღეს მონაწილეობა; ბ) მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმას მიუსწრეს; გ) თავად გამოიტანეს განაჩენი;
- 8) რა ერგოთ წილად პალესტინაში ჩასულ ქართველებს?
 ა) ქრისტეს კვართი ბ) ქრისტეს ჯვარი გ) ეკლის გვირგვინი
- 9) რა არის მეხუთე აბზაცის მთავარი სათქმელი?
 ა) კვართის ჩამოტანის შემდეგ ელიოზის დისა და დედის სასწაულებრივად გარდაცვალება;
 ბ) მცხეთაში ხალხის სიმრავლე;
 გ) ელიოზის განცდების აღწერა;
- 10) რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?
 ა) ჩვ. წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნის საქართველოს მდგომარეობის აღწერა;
 ბ) კვართის საქართველოში შემოტანის ამბის აღწერა;
 გ) წარმართული კულტურის შესახებ საუბარი;

II სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

- 11) ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზეოლოგიზმები შეესაბამება წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?
„მარიტაზე ამბობდნენ, ისეთი მშვენიერია, ავ თვალს არ ენახებოა.“
 ა) წითელი კოჭი ბ) თვალი დაადგა გ) კალმით ნახატი
- 12) ჩამოთვლილთაგან რომელი ანტონიმები შეესაბამება წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას ?
„სოფლის გზაზე სიწყნარეა.“
 ა) ხმაური ბ) სიჩუმე გ) იდუმალეობა
- 13) რომელი სიტყვაა ქოქოლას სინონიმი?
 ა) საკვები ბ) გაბრაზება გ) წყევლა
- 14) შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული ფორმა:
„დროს შეჰყურებს“ ანუ
 ა) შესაფერის დროს ეძებს ბ) თაღლითია გ) ვიღაცას ელოდება
- 15) რომელია ანტონიმური წყვილი?
 ა) გულადი და მამაცი ბ) გულღია და გულჩათხრობილი გ) მართლაც და დანამდვილებით

III სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (60 ქულა)

- 16) თანდებულს არ დაირთავენ არსებითი სახელები:
 ა) მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვაში
 ბ) ნათესაობითსა და წოდებით ბრუნვაში
 გ) სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვაში
- 17) რომელია წოდებითი ბრუნვის არასწორი ფორმა?
 ა) გიორგი ბ) თამაზი გ) ეკა
- 18) რომელი აფიქსი აწარმოებს უყოლობა– უქონლობის გამომხატველ ზედსართავ სახელებს?
 ა) უ –ეს ბ) იერ გ) უ –ო
- 19) გარდაუვალია:
 ა) ყველა ერთპირიანი ზმნა ბ) ყველა ორპირიანი ზმნა გ) ყველა სამპირიანი ზმნა

